2737

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

შაბათი 29 მარტი 1941 წ. № 74 (6079) ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ვუპასუხოთ საგაზაფხულო სამუშაოთა სანიმუშოდ შესრულებით

## გადაჭრით გავაუმჯობესოთ წრეებში მარქსისტულ-ლენინური სწავლების ხარისხი

მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლაში მთავარ მეთოდად წიგნზე ...

ბ წრის პროპაგანდისტებად ჰყოფდნენ ამ საქმისადმი სრულიად ...

... მაგრამ ეს ყველა წრის მუშაობაზე როდი ითქმის. მთელ რიგ წრეებში ადგილი ჰქონდა პროპაგანდისტთა ხშირ ცვალებადობას, ხოლო ზოგჯერ პარტიის რაიკომე- ...

... ტროლს წრეების მუშაობას, და არა მარტო კონტროლს უწევდნენ, არამედ უნდა ეხმარებოდნენ კიდეც მუშაობაში. ასეთია ამოცანა.

## ახალი გეოგრაფიული რუკები და ატლასები

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველო წელს მნიშვნელოვნად ადიდებს გეოგრაფიული რუკებისა და ატლასების გამოშვებას ...

## წინასაიუბილეო შეჯიბრება

ლენინგრადი, 27 მარტი ...

... სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქარხანა „პროგრესის" საამქროთა კოლექტივები. მე-17 საამქროში, რომელმაც მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულა კვარტალური პროგრამა, შექმნილია 28 ახალი სტახანოვური სკოლა. ამ სკოლებს შრომის მაღალი ნაყოფიერების ოსტატები ხელმძღვანელობენ. ქარხნის პარტიული და სამეურნეო აქტივის კრებამ კოლექტივის სახელით ვალდებულება იკისრა პროლეტარული დღესასწაულის აღსანიშნავად ვადამდე შეასრულოს აპრილის გეგმა.

## საჭადრაკო მატჩ-ტურნირი
### მეოთხე ტური

ლენინგრადი, 27 მარტი (საქდესი). მეოთხე ტურში სამივე დაფაზე მწვავე მანევრული ბრძოლა იყო.

ლილიენტალმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა კერესის წინააღმდეგ, ხელთ იგდო ინიციატივა, და გადადებულ მდგომარეობაში მას მოგების შანსები აქვს.

როსტოველმა გროსმაისტერმა ბონდარევსკიმ, რომელიც შავებით თამაშობდა ბოტვინიკის წინააღმდეგ, შესძლო დიდი პოზიციური უპირატესობის მიღება. ერთ დროს თეთრების წაგება თითქოს აუცილებელი იყო. მაგრამ ცაიტნოტში რამდენიმე არაზუსტი სვლის გამო ბონდარევსკიმ ხელიდან გაუშვა მოგების შესაძლებლობა. პარტია გადადებულია ორივე მხარისათვის მწვავე მდგომარეობაში.

თამაში ჩაება ბოლესლავსკიც. ესპანურ პარტიაში სმისლოვის წინააღმდეგ მან ახალი ვარიანტი გამოიყენა, რომელმაც უფრო თავისუფალი თამაში მისცა თეთრებს. სმისლოვის ოსტატური თავდაცვის მიუხედავად, პარტია გადადებულია უკრაინის ჩემპიონისათვის გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში.

ხვალ ტურნირზე გამოსასვლელი დღეა.

## სიმონ ბოიჩენკოს ახალი მსოფლიო რეკორდი

27 მარტს ქალაქ მოსკოვის პროლეტარული რაიონის აუზში სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ორდენოსანმა სიმონ ბოიჩენკომ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ბრასის სტილით საჩვენებელ ცურვაში 100 მეტრ დისტანციაზე. აღნიშნული დისტანცია მან 1 წუთსა და 6,6 წამში გასცურა.

ძველი რეკორდი უდრის 1 წუთსა და 6,8 წამს. იგი დამყარებულ იქნა 1938 წელს. (საქდესი).

## სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

27 მარტს გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელიც მიძღვნილია 1940 წლის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის შედეგებისადმი. სხდომის დარბაზში არიან ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოსული გამოჩენილი მეცნიერები.

კრება გახსნა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ვ. ლ. კომაროვმა. თავის საანგარიშო მოხსენებაში აკადემიკოსმა კომაროვმა მოიყვანა საინტერესო ციფრები და ფაქტები, რომელნიც ცხადჰყოფენ საბჭოთა მეცნიერებისა და მისი კადრების უდიდეს ზრდას უკანასკნელ წლებში. მიმდინარე წლის დამდეგისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში ითვლებოდა აკადემიის 120 ნამდვილი წევრი, 5 საპატიო და 182 წევრი-კორესპონდენტი. ათობით მოწინავე მეცნიერი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებით, სტალინის პრემიებით.

აკადემია საბჭოთა მეცნიერების შტაბია. იგი აერთიანებს მეცნიერებისა და ტექნიკის 5 ათასამდე მუშაკს. აკადემიკოსები, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, მეცნიერი მუშაკები არა მარტო დიდ ცენტრებში მუშაობენ, არამედ საბჭოთა კავშირის ყველაზე შორეულ კუთხეებშიაც. მეცნიერებათა აკადემიის ფილიალებსა და ბაზებში არის 1200-მდე მეცნიერი თანამშრომელი. 1940 წლის განმავლობაში 2 ათასამდე მეცნიერული ნაშრომი გამოქვეყნდა.

აკადემია მეცნიერთა ახალ კადრებს ამზადებს. მის ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში სწავლობს 1.000-ზე მეტი ასპირანტი. აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილია სამეცნიერო პროპაგანდის საბჭო, რომელშიაც გამოჩენილი მეცნიერნი შედიან. საბჭომ მოაწყო 2.200-ზე მეტი ლექცია და მოხსენება.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვა მეცნიერებისათვის მკაფიო გამოხატულებას პოულობს აკადემიის ბიუჯეტში, რომელიც წლითი-წლობით იზრდება. 1929 წელს იგი შეადგენდა 4,2 მილიონ მანეთს, 1936 წელს — 97,5 მილიონს, 1940 წელს — 176 მილიონზე მეტ მანეთს.

## შესრულებულია ქვანახშირის ამოღების კვარტალური გეგმა

ტყვარჩელი, 28 მარტი (საქდესი). „ტყვარჩელქვანახშირის" ტრესტის კოლექტივმა 28 მარტს შეასრულა ქვანახშირის ამოღების კვარტალური გეგმა.

## ცხაკაიას რაიონი ჩაება შეჯიბრებაში

ცხაკაია („კომუნისტის" კორ.). სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილებამ საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ უდიდესი შრომითი აღმავლობა ...

## შეჯიბრებაში ებმებიან

... ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევა და კონკრეტული საწარმოო ვალდებულებები იკისრა მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობის კულტურების მაღალი მოსავლის მიღებისათვის.

## დაიწყო შაქრის ჭარხლის თესვა

კასპი, (საქდესი). კასპის რაიონის კოლმეურნეობებში დაიწყო შაქრის ჭარხლის თესვა. სოფ. დოესის კოლმეურნეობა „შრომის სხივმა" პირველ დღეს 3 ჰექტარი შაქრის ჭარხალი დათესა, ხოლო სოფ. ქვემო გომის კოლმეურნეობა „მნათობმა" — 4 ჰექტარი.

წელს კასპის რაიონში გეგმით 1.250 ჰექტარი შაქრის ჭარხალი უნდა დაითესოს. საჭარხლე ფართობი მოხნულია მზრალად. გეგმით გათვალისწინებული 16 ათასი ტონის ნაცვლად შეტანილია 23 ათასი ტონა სასუქი.

## ფიზკულტურელთა პარადი

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სრულიად-საქართველოს ტრადიციული სასპორტო-ფიზკულტურული პარადის მოწყობის შესახებ.

პარადი 18 მაისს გაიმართება თბილისში, ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე. პარადში მონაწილეობას მიიღებს თბილისის 25.000-მდე ფიზკულტურელი, აგრეთვე აჭარის, სამხრეთ-ოსეთის, ქუთაისისა და აფხაზეთის საუკეთესო სპორტსმენთა დელეგაციები.

მსვლელობა დაიწყება საქართველოს წარჩინებულ ფიზკულტურელთა კოლონით. ამ კოლონაში გამოვლენ ორდენოსანი სპორტსმენები, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები, რეკორდსმენები. მათ მიჰყვებიან ნორჩი ფიზკულტურელები და სხვ.

კოლონები მხატვრულად იქნება გაფორმებული. გავლის დროს ტრიბუნის წინ ფიზკულტურელები სხვადასხვა თავისუფალ მოძრაობას შეასრულებენ.

პარადისათვის მზადება უკვე დაიწყო. ყველა ფიზკულტურულ ორგანიზაციაში მიმდინარეობს მონაწილეთა შერჩევა. ფიზკულტურული მეცადინეობის პროგრამაში შეტანილია სამწყობრო მომზადება.

პარადის მომზადების ხელმძღვანელად თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტთან შექმნილია შტაბი. შტაბის უფროსია გ. ფაჩულია. (საქდესი).

ზუგდიდის რაიონი. სოფ. ორსანტიის ს. გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობაში ტრაქტორებით საგაზაფხულო ხვნა.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

## ასფუთოსანთა მოძრაობის ფართოდ განვითარებისათვის

წითელწყარო („კომუნისტის", დომარემ ამხ. ვ. ფიროსმანაშვილისა, კორ.). ...

## მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობისათვის

კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ პარტიისა და მთავრობის 1941 წლის 13 მარტის დადგენილების გაცნობის შედეგად წითელწყაროს რაიონის სოფ. ზემო-ქედის კოლმეურნეობა „კომუნის გზაში" არაჩვეულებრივი ენთუზიაზმი და შრომითი აღმავლობაა. კოლმეურნეობამ, ნაცვლად 60 ჰექტარისა, სიმინდი უკვე დათესა 120 ჰექტარზე, მზესუმზირა 160 ჰექტარის ნაცვლად — 200 ჰექტარზე, გარდა ამისა ...

... ნეობა) და სხვ.

შეკრებაზე აღინიშნა, რომ გასულ წელს რგოლური მუშაობა არ სწარმოებდა რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობებში, შესაფერისად არ იყო გამოყენებული ქალთა შრომა.

სოფ. ჯუგაანის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში დანერგილი არ არის რგოლური მუშაობა.

შეკრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ განუხრელად განახორციელებენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 13 მარტის დადგენილებას, ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას კოლმეურნეობებსა, ბრიგადებსა, რგოლებსა, მტს-ებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და ცალკეულ კოლმეურნეებს შორის და პირნათლად შეასრულებენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც მათ იკისრეს მაღალი მოსავლისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის საქმეში.

**ი. ბალიაშვილი**

## სანიმუშო მეურნეობებში კოლმეურნეობებში

## საგაზაფხულო კულტურების თესვა კოლმეურნეობებში
### საქცსსახკომის 25 მარტის ცნობებით

| რაიონები | დათესილია სულ საგაზაფხულო კულტურები შემოდგომის, მომცდარი ნათესების ხელახლა დათესილის ჩაუთვლელად: თესვის გეგმა ჰექტარობით | დათესილია ჰექტარობით | გეგმის შესრულება პროცენტობით | მათ შორის: მარცვლეული და პარკოსანი (სიმინდის ჩათვლით) თესვის გეგმა ჰექტ. | გეგმის შესრულება პროცენტობით | მზესუმზირას თესვის გეგმის შესრ. პროც. | კარტოფილის თესვის გეგმის შესრ. პროც. | ბოსტნეული კულტურების თესვის გეგმის შესრ. პროც. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წყალტუბო | 9.050 | 270 | 3 | 7.750 | 1,8 | — | 13,3 | 22 |
| სამტრედია | 10.125 | 580 | 5,7 | 8.100 | 3,7 | — | — | — |
| ზესტაფონი | 7.505 | 106 | 1,4 | 7.220 | 1,5 | — | — | — |
| ჩხარი | 7.445 | 1.714 | 23 | 7.000 | 23,9 | — | 73,3 | 37,5 |
| საჩხერე | 12.835 | 322 | 2,5 | 12.300 | 2,6 | — | — | — |
| სამხრეთ-ოსეთის ავტ. ო. | 24.045 | 1.956 | 8,1 | 21.700 | 8,8 | — | — | — |
| ახალქალაქი | 31.680 | — | — | 21.800 | — | — | — | — |
| ბოგდანოვკა | 20.120 | — | — | 16.000 | — | — | — | — |
| ახალციხე | 9.840 | 960 | 9,8 | 6.550 | 13,3 | — | 0,5 | 9 |
| ადიგენი | 7.290 | 216 | 3 | 5.900 | 3,5 | — | — | — |
| ასპინძა | 8.505 | 595 | 7 | 6.950 | 8,5 | — | — | — |
| ხაშური | 10.154 | 1.294 | 12,7 | 8.000 | 15,4 | — | 3,3 | — |
| ქარელი | 12.812 | 2.869 | 22,4 | 10.100 | 27 | — | 12,5 | — |
| გორი | 14.744 | 1.132 | 7 | 12.000 | 9,1 | — | 1,8 | — |
| კასპი | 7.555 | 1.394 | 18,5 | 5.400 | 25,6 | — | 5 | — |
| ბორჯომი | 4.605 | 100 | 2,2 | 3.650 | 2,7 | — | — | — |
| წალკა | 17.805 | 1.111 | 6,2 | 14.300 | 7,7 | — | — | — |
| დუშეთი | 6.475 | 646 | 10 | 5.550 | 11,5 | — | 2 | — |
| თეთრიწყარო | 9.615 | 2.100 | 21,8 | 6.500 | 16,9 | 122,7 | 33,3 | 7,5 |
| თიანეთი | 4.230 | 259 | 6,1 | 3.550 | 7,2 | — | 3,3 | — |
| ყაზბეგი | 210 | — | — | 210 | — | — | — | — |
| გურჯაანი | 10.625 | 2.690 | 25,3 | 6.000 | 6,9 | 80,3 | 53,5 | — |
| სიღნაღი | 10.695 | 5.999 | 56,1 | 4.200 | 42,6 | 102,4 | 56 | 21 |
| წითელწყარო | 11.430 | 8.233 | 72 | 4.060 | 78,2 | 97 | 68,6 | 5,6 |
| თელავი | 10.940 | 1.066 | 9,7 | 8.900 | 10,9 | — | 39 | 30 |
| ყვარელი | 4.680 | 719 | 15,4 | 2.700 | 21,4 | — | 37,7 | — |
| ლაგოდეხი | 7.700 | 1.687 | 21,9 | 2.100 | 3,6 | 103,7 | 84,6 | — |
| თბილისი | 7.420 | 4.436 | 59,8 | 3.500 | 56,1 | 107 | 44,9 | 55,7 |
| მცხეთა | 4.635 | 940 | 20,3 | 2.450 | 31 | — | 31 | — |
| ყარაია | 3.070 | 775 | 25,2 | 700 | 1,7 | 109 | 58 | 35,1 |
| ბორჩალო | 6.685 | 356 | 5,3 | 1.700 | — | — | 46,5 | 8,2 |
| ლუქსემბურგი | 5.050 | 598 | 11,8 | 3.300 | 10,9 | — | 76,7 | 4 |
| საგარეჯო | 13.750 | 4.004 | 29,1 | 8.250 | 23,4 | 75,1 | 24 | 7 |
| ბაშკიჩეთი | 7.545 | — | — | 5.400 | — | — | — | — |
| **სულ რესპუბლიკაში** | **552.980** | **49.127** | **8,9** | **419.500** | **6,6** | **98,4** | **9,9** | **10,8** |
| 1940 წ. 25/III იყო | 512.515 | 11.947 | 2,3 | — | — | — | 4,6 | — |

## საქართველოს ნავთის რაიონებში

ნორიო, 28 მარტი (საქდესი). ნორიოს ნავთსაძიებელში ნორმალური ექსპლუატაცია დაიწყო № 5 ჭაბურღილში, რომელმაც 25 მარტს მოგვცა პირველი 5 ტონა ნავთი, 26 მარტს კი — 7 ტონა. ეს ჭაბურღილი გაბურღა მბურღავთა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. პოპოვი ხელმძღვანელობს.

პატარა-შირაქი, 28 მარტი, (საქდესი). 24 მარტს პატარა-შირაქის ნავთსაძიებელში ახალი № 62 ჭაბურღილის ბურღვა დაიწყო.

პირველ 3 დღეში ამხ. პ. ფიფიას მბურღავთა ბრიგადამ 133 მეტრი გაბურღა.

ბოლშევიკურად განვახორციელოთ XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებანი

# გადაჭრით გავაუმჯობესოთ მუშაობა რკინიგზის ტრანსპორტზე

## პოლიტგანყოფილებამ უნდა გაიდაქმნას მუშაობა

ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზა, სსრ კავშირის—დიდი სარკინიგზო სახელმწიფოს ერთერთი მსხვილი მაგისტრალია. ამ გზამ გასულ წელს ზოგიერთი მაჩვენებლების მიხედვით წარმატებას მიაღწია.

გზა, როგორც 1940 წელს ისე მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ჩამორჩა ვაგონების ბრუნვის გეგმისა და სამგზავრო მატარებლების გრაფიკის შესრულებაში. ამ ჩამორჩენის ადგილი არ ექნებოდა და წარმატებანი უფრო მნიშვნელოვნნი იქნებოდა, რომ ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზა თავისუფალი ყოფილიყო სერიოზული ნაკლოვანებებისაგან, რომ რკინიგზის სამმართველოს და პოლიტგანყოფილებას თავის მუშობა ინტენსიურად წარემართათ.

პოლიტგანყოფილება ზშირად ცოცხალი ხელმძღვანელობის მეთოდს სცვლიდა კანცელარიული მეთოდით. პოლიტგანყოფილება არც თუ ისე იშვიათად გართული იყო ადგილებიდან მრავალრიცხოვანი ცნობების შეკრებით. პოლიტგანყოფილებიდან ხაზზე ქალაქიდან განუწყვეტელი ნაკადი მიდიოდა.

ავიღოთ ძირეული პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა. ამ მხრივ პოლიტგანყოფილება თავის მუშობას ქაო

# პარტიული ცხოვრება

## რაიონული პარტიული აქტივის კრებები

### ზესტაფონი

ამ დღეებში შესდგა ზესტაფონის რაიონის პარტიული აქტივის კრება, მიძღვნილი საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის შედეგების განხილვისადმი.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა საკ.

...პროცენტით გაიზარდა. ასეთსავე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ტყვის აგურის ქარხანაში.

გადადგმულია ნაბიჯი და მიღწეულია პრაქტიკული შედეგი საწარმოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. ფეროშენადნობთა ქარხანაში ...

## ბოლშევიკურად განვახორციელოთ საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებანი

ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის შორაპნის საორთქლმავლო დეპოს პარტბიურომ დროულად გაშალა მუშაობა XVIII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

26 თებერვალს ჩატარდა აგიტატორთა სემინარი XVIII პარტიული კონფერენციის შედე...

...ტრანსპორტის ნორმალურად, შეუფერხებლად მუშაობისათვის საჭიროა სისუფთავის დაცვა, ელემენტარული წესრიგის დამყარება. შორაპნის დეპოს პარტბიურომ 12 მარტს განიხილა საკითხი მოწყობილობის, ქონებისა და იარაღის მოვლა-პატრონობის შესახებ. გამოირკვა, რომ დეპოს ტერიტორია, ორთქლმავლების გასა...

...ბის გადაჭარბებით შესრულებისათვის. საუკეთესო შედეგებს იძლევიან კომუნისტი და კომკავშირელი მემანქანეები ამხ. მ. ხიხაძე, ნ. ქურციკიძე, დ. კვინიკაძე, დ. სარალიძე, მ. თავშავაძე, დ. მაცაბერიძე, კ. შუღლაძე, მ. ქურცაძე, ალ. ბაბუაძე, ს. გურგენიძე, გრ. ჯანგიანი და სხვები, რომლებსაც თავიანთი ორთქლმავლე...

...სამეურნეო აქტივის თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის შედეგები. აქ გამომჟღავნდა დეპოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და დაისახა სათანადო ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად.

...ბიაშვილი, კ. ქათამაძე. ხუთ ამხანაგს ვამზადებთ მემანქანის თანაშემწეებად.

შორაპნის საორთქლმავლო დეპოს კომუნისტები და კომკავშირლები იბრძვიან წუნის, მარცხის და ავარიების ლიკვიდაციისათვის, კულტურის დანერგვისა და გეგმე...

...უნდა იბრძოლოს წარმოებაში კულტურის დანერგვისა და გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, მარცხების, ავარიებისა და წუნის ლიკვიდაციისათვის.

**გ. თურმანიძე**

შორაპნის საორთქლმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი.

## ცოცხალი, მიმზიდველი აგიტაციისათვის

საგიტაციო მუშაობის ერთერთ მიზანშეწონილ ფორმად კითხვა-პასუხის მოწყობაა მიჩნეული. მუშაობის ამ ფორმას ფართოდ იყენებენ პარტიული ორგანიზაციები. ამ რამდენიმე დღის წინათ ასეთი კითხვა-პასუხის საღამო ჩატარდა თბილისის კინოსტუდიაში.

კითხვა-პასუხის საღამოს წინ უსწრებდა სერიოზული მზადება. პარტიულმა ბიურომ წინასწარ გამოჰყო რამდენიმე უნარიანი აგიტატორი—ბენუა, ვ. ისაკაძე, ვ. თელია, პ. სალტიკოვი და სხვ., რომელთა საშუალებით თვითეულ...

...რატომ არღვევს ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველო მოძრაობის წესებს?

რატომ ხუთი საათის შემდეგ ცხადდება ექიმი ავადმყოფთან სახლში გამოძახების დროს?

ხომ არ არის შესაძლებელი ამ მოკლე ხანში ამერიკის შეერთებული შტატების ომში ჩაბმა?

შესაძლებელია თუ არა საფრანგეთში რევოლუცია, ოკუპირებულსა და არაოკუპირებულ ნაწილში?

...პუბლიკის პროკურატურის წარმომადგენელი ამხ. მელიქაძე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლექტორი ამხ. ჯაფარიძე, თბილისის ლენინის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის წარმომადგენელი ამხ. ჭანჭალეიშვილი, თბილვაჭრობის წარმომადგენელი ამხ. ნამურაძე, თბილისის სტალინის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის წარმომადგენელი ამხ. კიკალეიშვილი, ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს წარმომადგენელი ამხ. გიორგობიანი, თბილისის ...

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის პარტკაბინეტის ბიბლიოთეკარი ნინო დევდარიანი (ცენტრში) ლიტერატურას ურჩევს პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელს ამხ. მ. აბრამაშვილს.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა (საქძესის ფოტოქრონიკა)

## სამტრედია

...

**გ. სიხარულიძე**

## საქ. კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის პლენუმი

მაიაკოვსკი, (საქძესი). მაიაკოვსკის რაიონის პარტიული კაბინეტის დარბაზში შესდგა პარტიის რაიკომის VII პლენუმი, რომელმაც მოისმინა რაიკომის მდივნის, ამხ. შ. მაისურაძის საანგარიშო მოხსენება.

პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო სამუშაოდან გაათავისუფლა ამხ. შ. მაისურაძე.

რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. კ. კაპანაძე.

## ძირეული პრესის მიმოხილვა

## უფრო ახლოს საწარმოს ცხოვრებასთან!

გასული წლის 15 აგვისტოს თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ჩატარდა ძირეული პრესის მუშაკთა თათბირი. მაშინ ქარხნის საამქროთა კედლის გაზეთების მუშაობის ბევრი ნაკლი გამომჟღავნდა...

...შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის.

...მერში, რომელიც გამოსულია თებერვალში, ოთხი წერილიდან საამქროს მუშაობას მხოლოდ ერთი ეხება, ისიც მოკლედ, ციფრობრივი მონაცემებით. ასევე ითქმის № 1 ამწყობი საამქროს კედლის გაზეთზე (განსაკუთრებით მის მეორე ნომერზე).

ცხადია, როდესაც საამქროთა კედლის გაზეთები ასეთ მცირე ადგილს უთმობენ საწარმოო საკითხებს, ისინი საკმაოდ ვერ იბრძოლებენ საწარმოო გეგმების გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად...

...XVIII კონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილებანი. საწარმოთა კედლის გაზეთები ენერგიულად უნდა იბრძოდნენ თავიანთი ქარხნის, საამქროს საწარმოო გეგმების ვადაზე და მაღალი ხარისხით შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, მოწყობილობის წესიერი მოვლა-პატრონობისათვის, წარმოებაში სრული წესრიგისა და სისუფთავისათვის და სხვ.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## „აჭარის ხალხური სიტყვიერება“

(წიგნი მეორე)

აჭარლების შესახებ ყოველი კარგი წიგნი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართველოლოგიისათვის. ერთერთ ასეთ წიგნად უნდა ჩაითვალოს ახლახან გამოსული აჭარის სამხარეთმცოდნეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცემა „აჭარის ხალხური სიტყვიერება“, წიგნი მეორე (ბათუმი, 1940 წ.), შეკრებილი და დამუშავებული დოც. ჯემალ ნო...

...არის ერთი პრინციპი და თანმიმდევრობაც დარღვეულია, ტექსტებს ვარიანტები არ ახლავს, ანდაზებისა და გამოცანების ჩაწერის ადგილი ზუსტად არ არის ნაჩვენები.

შესავალში დასახელებულ ლიტერატურულ წყაროებში გამორჩენილია მრავალი შესაფერისი ნაშრომი; მაგ. ნ. მარის „ბათომი, არდაგანი, ყარსი“, ...

...დაზები და ჰქვემხილი გამოცანები არის დაბეჭდილი. არასპეციალისტს გაუკვირდება წიგნში შელოცვების დაბეჭდვა, მაგრამ სწორედ მათი ჩაწერა და თავმოყრაა სასწრაფო საქმე, რადგან ახლო მომავალში მოველოდება საშუალება ადამიანთა გონების ამ მონაცემის გაცრობისა.

შინაარსიანია ავტორის წინასიტყვაობა და მდიდარია ტექსტების შესახებ დაწერილი შენიშვნები (გვ. 211-232).

ამ წიგნს ზოგიერთი ნაკლიც ახლავს; მასალათა განრიგებაში დაცული არ...

...წიგნში ...არის გაპარული. ავტორის ენა მეტ დახვეწილობას საჭიროებს. წიგნს უნდა ეწოდებოდეს არა „აჭარის ხალხური სიტყვიერება“, არამედ „აჭარული“ ან „აჭარლების“.

ჯ. ნოღაიდელს უნდა მივუთითოთ, ერიდოს ტექსტების თვითნებურ შესწორებას. აჭარის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს უნდა ვუსურვოთ, რომ განაგრძოს ასეთი სასარგებლო წიგნების გამოცემა.

**ი. მეგრელიძე.**

## მეომარი სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო ძალები

ძალთა თანაფარდობა მეორე მსოფლიო იმპერიალისტური ომის საზღვაო ასპარეზზე უდიდესად დიდ როლს ასრულებს სომარ ოპერაციების მსვლელობაში.

გერმანიის სამხედრო გამარჯვებამ კონტინენტზე გამოიწვია ...

...ნიის, ჰოლანდიის, ბელგიის, საფრანგეთის) თითქმის 9 მილიონი ტონა წყალწყვის სავაჭრო ფლოტი. ამრიგად, იმ სავაჭრო ფლოტის საერთო წყალწყვა, რომელიც დიდი ბრიტანეთის განკარგულებაშია, ამჟამად 23-24 მილიონ ტონა...

...ბლოკადამ იტალია მოსწყვიტა ხმელთაშუა ზღვის სამივე გასასვლელს: გიბრალტარს, სუეცის არხსა და დარდანელს.

ომში საბერძნეთის ჩაბმამ შესაძლებლობა მისცა ინგლისს უფრო ეფექტური გაეხადა იტალიის ბლოკადა. კერძოდ, ინგლისის სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალები, რომელთა ბაზა არის საბერძნეთის ნავსადგურები და აეროდრომები, აგრეთვე მალტის ...

...ოკი“ — გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა სკაპა-ფლოუს რეიდზე. მწყობრში ჩადგა, ან ამ მოკლე ხანში ჩადგება „კინგ ჯორჯ V“-ის ტიპის 5 ახალი სახაზო გემი.

1939 წლის სექტემბრისათვის ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალთა მწყობრში იყო 7 ავიოსანი. ომის დაწყებისთანავე ავიოსანი „კურეჯიუსი“ ჩასძირა მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავმა. 1940 ...

ბრიტანეთის იმპერიის სამხედრო-საზღვაო ძალები ძირითადად განაწილებულია ატლანტიკაში და ჩრდილოეთ ზღვაში მომქმედ მეტროპოლიის ფლოტსა და ხმელთაშუა ზღვის ფლოტს შორის. შორეულ აღმოსავლეთში იმყოფება შედარებით მცირე რაოდენობის საბრძოლო გემები.

გერმანია რომ ომში ჩაება, მის სამხედრო-საზღვაო ფლოტში ირიცხებოდა 2 დიდი სახაზო გემი („შარნჰორსტი“ და „გნაიზენაუ“), ...

...ბა შემდეგ სწარმოებს გერმანიის გემთმაშენებში. ამერიკული პრესის ცნობით, უკანასკნელ დროს თითქმის ყოველ კვირა მწყობრში შედის 7-8 წყალქვეშა ნავი. შეიძლება ეს ცნობები გაზვიადებულია; ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ გერმანიის წყალქვეშა ფლოტი სწრაფად იზრდება. ამასთან დაკავშირებით, აგრეთვე იმის გამო, რომ გერმანიას აქვს ვრცელი პლაცდარმები ევროპის კონტინენტურ ...

...ლვაო ძალები მიღებულ უნდა იქნეს მხედველობაში როგორც თავისებური სტრატეგიული რეზერვი.

ევროპაში ომის დაწყებისას იაპონიას მწყობრში ჰყავდა 10 სახაზო გემი, 6 ავიოსანი, 12 მძიმე და 25 მსუბუქი კრეისერი, 112 საესკადრო ნაღმოსანი და დაახლოებით 70 წყალქვეშა ნავი. მოკიდებული 1937 წლიდან იაპონია ფრიად საიდუმლოდ ინახავს ცნობებს სამხედრო-საზღვაო შენაძენების ...

...

**ლ. ივანოვი**

## საომარი მოქმედება ალბანეთში

**ათენი,** 27 მარტი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინ ფრონტზე ადგილობრივი მნიშვნელობის საომარი ოპერაცია იყო ქვეითი ჯარისა და არტილერიის მონაწილეობით.

მტრის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა პრევეზას. დაჭრილია ერთი კაცი, დაზიანებულია რამდენიმე შენობა. ყუმბარა დაუშინეს აგრეთვე დასავლეთ პელოპონესის ერთ-ერთ სოფელს და ეგეოსის ზღვაში მყოფ პატარა გემებს. ბომბარდირებას არავითარი ზარალი არ გამოუწვევია.

**რომი,** 27 მარტი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება, რომ საბერძნეთის ფრონტზე აქტივობას იჩენს არტილერია. იტალიის ავიაგამანადგურებელთა რაზმები თავს დაესხნენ მტრის საჰაერო ბაზას პირამიტიაში (დასავლეთ საბერძნეთი). ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოსპობილია მიწაზე მყოფი 2 თვითმფრინავი, რამდენიმე სხვა თვითმფრინავი დაზიანებულია სერიოზულად. ყუმბარმშენმა ავიაციამ ყუმბარა დააყარა პრევეზის სანავსადგურო ნაგებობებს და ნავსადგურში მდგომ ხომალდებს. ყუმბარა დაუშინეს აგრეთვე საბერძნეთის მეორე საზღვაო ბაზას პელოპონესში.

## ინგლისის ჯარმა კერენი და ხარარი დაიკავა

**ლონდონი,** 27 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს საღამოს კაიროში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ინგლისის ჯარმა 7 კვირის ალყის შემდეგ, კერენი დაიკავა. აბისინიაში საიმპერიო ჯარმა ქალაქი ხარარი დაიკავა.

## ეგლი ინგლისში უჯილის შეგროვების შესახებ

**ლონდონი,** 27 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ როგორც ბეჭდის მცველმა — ლორდმა ეტლიმ განაცხადა, 1940 წელს ინგლისელმა დიასახლისებმა, რომლებმაც უტილნედლეულისა და ლითონის ჯართის შეგროვება მოაწყეს, სახელმწიფოს დაუზოგეს 40 ხომალდი ქაღალდი და იმდენი ლითონი, რომ იგი 16 ათასი ტანკის ასაგებად იკმარებს. შეგროვებული კვების ნარჩენების რაოდენობა საკმარისია 100 ათასი ღორის გასასუქებლად.

## პოლკოვნიკ დონოვენის გამოსვლა

**ნიუ-იორკი,** 27 მარტი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, პოლკოვნიკმა დონოვენმა, რომელიც ამას წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდა ევროპაში არაოფიციალური საინსპექციო მოგზაურობიდან, გუშინ სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი. მან განაცხადა, რომ ამერიკის დახმარება ინგლისისადმი უსარგებლო იქნება, თუ საომარმა მასალამ დანიშნულების ადგილს ვერ მიაღწია. ამავე დროს,—განაგრძო დონოვენმა, — სატვირთო გემები ამჟამად სუსტად არის დაცული გერმანიის რეიდერთა იერიშებისაგან. დონოვენმა დასვა საკითხი, მზად არიან თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები ინგლისში საომარი მასალის მიტანის რისკი გასწიონ. ინგლისის დამარცხება, — განაცხადა დონოვენმა, — იმას ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს საფრთხე შეექმნება აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან.

## ხელი მოაწერეს შეთანხმებას ა. შ. შტატებისათვის ინგლისის ბაზების იჯარით გადაცემის შესახებ

**ლონდონი,** 27 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს ლონდონში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ინგლისის ატლანტის ოკეანის ბაზების იჯარით გადაცემის შესახებ.

1940 წლის 2 სექტემბერს ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს 50 საესკადრო ნაღმოსნის სანაცვლოდ, 99 წლის იჯარით გადაეცეს ზოგიერთი სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ბაზები ინგლისის სამფლობელოებში, რომლებიც დასავლეთ ნახევარსფეროში მდებარეობენ. ახალი ბაზები მოეწყობა ნიუფაუნდლენდში, ბერმუდისა და ბაგამის კუნძულებზე, იამაიკის კუნძულზე, ანტიგვის, სანტა-ლუჩიას, ტრინიდადის კუნძულებზე და ბრიტანეთის გვიანაზე. სულ შეიქმნება 8 ბაზა.

## საგაფიცვო მოძრაობა ა. შ. შტატებში

**ნიუ-იორკი,** 27 მარტი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, საკომპანიო პროფკავშირის უკანონო საქმიანობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ამერიკის შეერთებული შტატების მეფოლადე მუშათა პროფკავშირმა, რომელიც საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შედის, გაფიცვა გამოაცხადა „ბეტლიჰემ სტილ კორპორეიშენის" კომპანიის ბეტლიჰემის ქარხანაში, სადაც 20.000-მდე მუშა მუშაობს, პოლიციამ ცრემლმდენი გაზები გამოიყენა მუშათა წინააღმდეგ, რომლებიც ქარხნის შენობას პიკეტობდნენ. „ჰარვილ დაი კასტინგის" კომპანიის მუშებმა ლოს-ანჯელოსში 10 დღის გაფიცვის შემდეგ ხელფასის მომატებას მიაღწიეს. ნიუ-ჯერსის ალუმინის ქარხნების 3.000 მუშამ გაფიცვა იმის შემდეგ შესწყვიტა, რაც კომპანია დასთანხმდა მოლაპარაკება დაეწყო ხელფასის მომატების შესახებ.

## საუბარი ჰიტლერსა და მაცუოკას შორის

**ბერლინი,** 27 მარტი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იტყობინება, რომ დღეს ჰიტლერსა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს მაცუოკას შორის საუბარი გაიმართა, რამაც 2 საათსა და 30 წუთს გასტანა.

## რუზველტმა ხელი მოაწერა ახალ კანონპროექტს

**ნიუ-იორკი,** 27 მარტი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, რუზველტმა, რომელიც პრეზიდენტის ორჩხომელ „პოტომაკზე" იმყოფება, ხელი მოაწერა კანონპროექტს 7 მილიარდი დოლარის გაღების შესახებ იმ პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც გათვალისწინებულია ამერიკის იარაღის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონით. კანონპროექტის ტექსტი თვითმფრინავით ჩაუტანეს რუზველტს.

## ბრაზილიის გემის ბომბარდირება გერმანიის თვითმფრინავების მიერ

**ნიუ-იორკი,** 27 მარტი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ბრაზილიის პროპაგანდის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ თვითმფრინავმა რომელსაც გერმანული გამოსაცნობი ნიშნები ჰქონდა, 22 მარტს ყუმბარა დაუშინა და ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხა ხმელთაშუა ზღვაში ბრაზილიის გემს „ტაუბატეს", რომელიც ალექსანდრიას მიდიოდა. ერთი ოფიცერი მოკლულია, ეკიპაჟის 8 წევრი დაიჭრა. დაზიანებული გემი ბუქსირით მიყვანილ იქნა ალექსანდრიაში. ბრაზილიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სათანადო ნაბიჯები გადადგა.

## „ტახტის დამხმარე ასოციაციის" ხელმძღვანელობის შეცვლა

**ტოკიო,** 27 მარტი (საკდესი). „ტახტის დამხმარე ასოციაციის" რეორგანიზაციის საკითხის გარშემო იაპონიის მმართველ წრეებში გაჩაღებულმა ბრძოლამ გამოიწვია ასოციაციის ხელმძღვანელობის გადადგომა.

იაპონური გაზეთების ცნობით, ასოციაციის პრეზიდენტმა კონოემ გუშინ წინადადება მისცა ასოციაციის ცენტრალური შტაბის გენერალურ დირექტორს გრაფ არიმას გადადგეს, რათა კაბინეტს გაუადვილოს ასოციაციის რეორგანიზაცია. გრაფი არიმა და ასოციაციის 40 სხვა დირექტორი იმავე დღეს გადადგნენ. ფიქრობენ, რომ გადადგება აგრეთვე „ტახტის დამხმარე ასოციაციის" მთელი შტაბი, რომელშიც 450-მდე კაცი შედის.

კონოესა და არიმას შეხვედრის წინ პრემიერის რეზიდენციაში გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კაბინეტის გენერალურმა მდივანმა ტომიტამ, სამხედრო სამინისტროს სამხედრო განყოფილების უფროსმა გენერალ-მაიორმა მუტომ და საზღვაო სამინისტროს საზღვაო განყოფილების უფროსმა კონტრ-ადმირალმა ოკამ. თათბირზე განიხილეს არმიისა და ფლოტის მიერ ერთად წარდგენილი პროექტი „ტახტის დამხმარე ასოციაციის" რეორგანიზაციისა.

კონოემ გადასწყვიტა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად დანიშნოს ახლანდელი იუსტიციის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი იანაგავა, რომელმაც ამ პოსტის დაკავებაზე პრინციპული თანხმობა განაცხადა. ასოციაციის ცენტრალური შტაბის გენერალური დირექტორის პოსტი შესთავაზეს ოკადა ფუმიხიდეს, რომელიც წინათ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე იყო. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ოკადასა და იანაგავას შორის მეტად მჭიდრო ურთიერთობა არსებობს.

„აყვავებული ბაღი" გორის სახელმწიფო თეატრში. ზევით (მარცხნიდან მარჯვნივ)—ა. ლელაშვილი (ელიზბარი), ვ. კახნიაშვილი (შოთა), ნ. ბეროზაშვილი (ეთერი), მ. ბახტაძე (გუგული); ქვევით: რ. გოგიბაშვილი (ბაბო), ს. გრიქუროვი (გოლა), ა. ივერიელი (მაგდანა), ნ. აღლაძე (თინა).

ფოტო რ. აკოფოვისა.

# „აყვავებული ბაღი"

## გორის თეატრში

ერთ წელზე მეტია, რაც გორის სახელმწიფო თეატრი მუშაობს რესპუბლიკის სახალხო არტისტის პ. ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით. ამ ხნის განმავლობაში თეატრმა მთელი რიგი პრემიერები დადგა და სამართლიანად დაიმსახურა მაყურებლის სიყვარული. თეატრის უკანასკნელი დადგმაა მასისა და კულიჩინკოს კომედია „აყვავებული ბაღი", გადმოქართულებული გ. ყიფშიძის მიერ.

„აყვავებული ბაღი" გორის თეატრში დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ო. ალექსიშვილმა. მან სწორად გაიგო პიესა და შესძლო ისეთი სპექტაკლის გაკეთება რომელიც მაყურებელს აღუძრავს გულწრფელ, ჯანსაღ სიცილს. დრამატურგი არა ჰყოფს თავისი პიესის მოქმედ პირებს უარყოფითებად და დადებითებად, აქ ყველა ჩვენი, საბჭოთა ძოქალაქეა. მაგრამ ადამიანთა ცხოვრებაში მოხდება ხოლმე ისეთი შემთხვევითობა, რაც შემდეგ გადაიზრდება კომედიის ან ტრაგედიის საბაბად. რეჟისორს კარგად ესმის ეს. იგი მტკიცედ იცავს ზომიერებას და გვერდს უვლის გაშარჟებას ანდა მელოდრამატულობაში გადასვლის ცდუნებას. ამაშია დადგმის ღირსება. მხოლოდ ერთი შენიშვნა: მესამე მოქმედებაში ყვავილების შეჯვარებისას მტერიანას შეყრის შემდეგ ყვავილს უნდა ჩამოეცვას მარლის პარკი, რომ დაიცვას საცდელი მცენარე შემთხვევითი მტვერიანასაგან.

სპექტაკლის გაფორმება ეკუთვნის მხატვარს ნ. კილასონიძეს, რომელსაც ამოცანა კარგად გადაუჭრია. განსაკუთრებით კარგია უკანა ფარდა რკინიგზის ხედით, რომელიც ორგანიულად აკავშირებს ერთმანეთს ორივე მოქმედების გაფორმებას. სადაოდ მიგვაჩნია საცდელ-საჩვენებელი ბაღის შემოფარგვლა წნელის ღობურით. რომელიც უფრო დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოსთვის, ვიდრე ქართლისათვის. უფრო სწორი იქნებოდა ქვითკირის, ანდა ფიცრებაკრული მესერის გაკეთება.

მუსიკას არ იყენებს რეჟისორი და კარგსაც შვრება. კომედია ისეთი მხიარულია თავისთავად, დარბაზში ისეთი დაუსრულებელი სიცილია, რომ მუსიკის დახმარება საჭირო აღარ არის.

შემსრულებელთაგან აღვნიშნავთ ს. გრიქუროვს (გოლა), გ. ივერიელს (მაგდანა), შ. ბახტაძეს (გიგლა), შ. ხაჯალიას (შაქრო) ვ. კახნიაშვილს (შოთა). ნ. ბეროზაშვილს (ეთერი) და ნ. აღლაძეს (თინა). აღნიშნული მსახიობები სწორად ანსახიერებენ დრამატურგის მიერ დახატულ სახეებს. ჩვენ განგებ გამოვყავით ა. ლელაშვილი, რომლის ელიზბარს აკლია ინტელიგენტობა. დრამატურგი კი ამას ხაზს უსვამს. ერთის მხრივ უშუალო გოლა, რომელიც ჯერ გულს ეკითხება და მერე გონებას, და მეორე მხრით ინტელიგენტი ელიზბარი, რომელიც ჯერ გონებას ეკითხება და მერე გულს. ა. ლელაშვილმა ცოტაოდენი ცვლილებები უნდა შეიტანოს ამ როლის შესრულებაში. ეს შენიშვნა რეჟისორსაც შეეხება. შ. ბახტაძე (გუგული) და რ. გოგიბაშვილი (ბაბუცა) ეპიზოდურ როლებს დამაკმაყოფილებლად ასრულებენ.

საერთოდ სპექტაკლი „აყვავებული ბაღი" კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. მით უმეტეს გაკვირვებას იწვევს ვ. ბაიაძის რეცენზია, რომელიც გორის სარაიონო გაზეთის „სტალინელის" 21 მარტის ნომერში დაიბეჭდა. რეცენზენტი კატეგორიულად აცხადებს, რომ „აყვავებული ბაღი" სეზონის ერთ-ერთი უფერული და სუსტი დადგმაა", თუმცა ეს მტკიცება დაუსაბუთებელია. საბუთად ხომ ვერ მივიღებთ, მაგალითად, რეცენზენტის მტკიცებას, რომ „აყვავებულ ბაღს" ჩვეულებრივად დგამენ, როგორც მუსიკალურ კომედიას" და რაკი ო. ალექსიშვილმა იგი დადგა კომედიის სტილით, ე. ი. ისე, როგორც ავტორმა დასწერა, ამიტომ რეჟისორს „პრინციპულად მცდარი და სახიფათო გზა აურჩევია". პირიქით, რეჟისორი ამ შემთხვევაში სწორად მოიქცა. უმართებულოა გორელი რეცენზენტი ცალკეულ მსახიობთა შეფასებაშიაც, ხოლო რატომ წაართვა ავტორობა მხატვარ ნ. კილასონიძეს და მიაკუთვნა იგი მხატვარ-შემსრულებელს ბიკოვს, პირდაპირ გაუგებარია. დაუშვებელია ვ. ბაიაძის მხრით ა. ცაგარლის ხელაღებით უარყოფა.

**გრ. ნუცუბიძე**

## ძველ მომღერალთა გუნდის ჩამოყალიბება

საქართველოს კინო-სტუდიასთან ჩამოყალიბდა ძველ მომღერალთა გუნდი, რომელშიაც შედიან ამ 30 წლის წინათ მ. კავსაძის ხელმძღვანელობით არსებული მომღერალთა გუნდის წევრები. გუნდს ახლაც მ. კავსაძე (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე) ხელმძღვანელობს.

გუნდი უკვე შეუდგა მუშაობას. ძველი და თანამედროვე ქართული ხალხური სიმღერების შესწავლას. გუნდის რეპერტუარში შერჩეულია ა. ბენაშვილის, შ. ჩხიკვაძის, ფ. ქორიძის, მ. ბალანჩივაძის, ი. კარგარეთელის, ნიკ. სულხანიშვილის, ს. და მ. კავსაძეების მიერ ჩაწერილი და გადამუშავებული სიმღერები, საფეხბურთო ნომრები, ძველი გლეხური საყოფაცხოვრებო სცენები და სხვ.

გუნდში სამუშაოდ მიწვეული არიან ქართული ხალხური სიმღერების გამოჩენილი შემსრულებლები. აპრილიდან მუშაობას დაიწყებს ამავე გუნდთან შექმნილი ქართული ხალხური სიმღერების შემსწავლელთა კურსები. კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს სამშაბათობით და პარასკევობით საღამოს 8-დან 10 საათამდე (კ. ცეტკინის ქ. № 139).

## სოციალისტური მეცხოველეობის მაღალკვალიფიციური კადრები

კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების შესახებ, საქართველოს სსრ ქართლის რაიონების სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ, საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებით ანაზღაურების შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა განხორციელებაში დიდ როლს თამაშობენ ყოველმხრივ მომზადებული, მაღალკვალიფიციური კადრები.

საქ. სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის კოლექტივი ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სოციალისტური მეცხოველეობისათვის კადრების მომზადების საქმეს.

ინსტიტუტი ძირითადად უზრუნველყოფილია პედაგოგიური კადრებით. პედპერსონალის შემადგენლობაში მყოფი 35 დოცენტი ჩვენი ინსტიტუტის მიერ არის გამოზრდილი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინსტიტუტს ჰყავს 11 პროფესორი, 37 დოცენტი, 37 ასისტენტი და ლექტორი.

ინსტიტუტის დაარსებისას (1932 წელს) კათედრათა რაოდენობა უდრიდა ხუთს. ამჟამად კი—29-ს. ადგილობრივი ძალების საშუალებით გამოვეცით 23 სახელწოდების სახელმძღვანელო.

ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტობამ და ინტელიგენციამ სერიოზულად მოჰკიდეს ხელი მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების ღრმად შესწავლას.

გაიზარდა ფრიადოსანთა რიცხვი, რასაც ხელი შეუწყო სწავლის გადასახადისა და ახალი წესით სტიპენდიის დანიშვნის შესახებ მთავრობის დადგენილებამ. ინსტიტუტს ჰყავს საუკეთესო ფრიადოსანი სტუდენტები: ალ. ტალაბაძე, დ. ანდღულაძე, ხარისჩარიშვილი, ს. მიქელოვა, ჯიქიძე, შარაშენიძე და სხვ.

საქ. ზოოვეტინსტიტუტი დღეს გამოუშვებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ზოოტექნიკოსებს 60 კაცის რაოდენობით, რომლებიც უკვე განაწილებული არიან რაიონებში სამუშაოდ და დიდი ენტუზიაზმით ემზადებიან პრაქტიკული მუშაობისათვის.

ჩვენს სპეციალისტებს მტკიცედ ახსოვთ ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ მოცემული მითითება, რომ მეცხოველეობის საქმეს ხელი უნდა მოჰკიდონ მთელმა პარტიამ, ყველა ჩვენმა მუშაკმა, პარტიულმა და უპარტიომ. ეჭვი არ არის, ისინი პირნათლად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ პასუხსაგებ ამოცანებს.

**დოც. ნ. მესხი**

საქ. სახ. ზოოვეტინსტიტუტის დირექტორი.

## სისხლის გადასხმის ახალი აპარატი

სისხლის გადასხმას, როგორც სამკურნალო მეთოდს, დიდი მნიშვნელობა აქვს და მას ფართოდ იყენებენ სამკურნალო დაწესებულებებში.

სისხლის გადასხმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ომის დროს. იგი ფართოდ იყო გამოყენებული ხასანის ტბასთან, ხალხინ-გოლთან და თეთრფინელებთან ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის გმირული ბრძოლების დროს.

1939 წელს საკავშირო ჯანსახკომის მიერ გამოცხადებული იყო კონკურსი სისხლის გადასხმისათვის მარტივი აპარატის გამოგონებაზე.

ექ. ი. შევანგირაძემ გამოიგონა სისხლის გადასხმის გამარტივებული აპარატი და წარადგინა კონკურსზე. მოსკოვში საკავშირო ჯანსახკომის მიერ გამოყოფილმა ჟიურიმ მოიწონა ექ. შევანგირაძის აპარატი და მას პრემია მიაკუთვნა. ამ აპარატით სისხლის გადასხმა 80 პროცენტით არის გამარტივებული.

**ექ. დ. გოგიძე**

## მენდელეევის საზოგადოებაში

29 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ კორპუსში (კამოს ქ. № 34) შესდგება მენდელეევის საზოგადოების საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებებს წაიკითხავენ: ქიმიურ მეცნიერებათა კანდ. **ქ. არეშიძე** — „აკადემიკოს ნ. დ. ზელენსკის სამეცნიერო მოღვაწეობა"; ქიმიურ მეცნიერებათა კანდ. **ა. გახოკიძე**— „შაქრებიდან იზოოქტანის მაგნიუმ-ორგანული სინთეზი"; სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდ. **ა. ლაშხი**—„აცეტალი და მისი როლი კონიაკის დამწიფებაში".

## ახალგაზრდა მწერალთა სექცია

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ მოაწყო ახალგაზრდა მწერალთა სექცია. სექცია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მწერლებისა და პოეტების შემოქმედებით ზრდას.

ახალგაზრდა მწერლები შეისწავლიან მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, მოისმენენ თეორიულ ლექციებს. ჩატარდება აგრეთვე ახალგაზრდა მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებთა განხილვა.

სექცია უკვე შეუდგა მუშაობას.

(საქდესი).

## წყალტუბოს კურორტზე

**წყალტუბო,** (საქდესი). მიმდინარე წლის ოქტომბერში კურორტი წყალტუბო იდღესასწაულებს საკავშირო მნიშვნელობის კურორტად არსებობის 10 წლისთავს.

კურორტის საიუბილეო წელი აღნიშნულ იქნება მთელი რიგი ახალი საკურორტო შენობათა აგებით. შენდება 500-ადგილიანი ახალი კინოთეატრი, სამკურნალო კომბინატი, ახლო მომავალში დაიწყება № 6 აბანოს შენობის აგება, წელს დაიწყება წყალსადენის გაყვანა; ეს წყალსადენი კურორტს სასმელ წყალს მიაწვდის მაღლაკის წყაროებიდან. დაწყებულია დამხმარე მეურნეობის მოწყობა, რისთვისაც გაღებულია 155 ათასი მანეთი.

მთავრდება სანატორიუმებისა, პანსიონატების და აბანოს შენობების რემონტი.

განზრახულია წელს კურორტების კეთილმოწყობისათვის დაიხარჯოს დაახლოებით 1,5 მილიონი მანეთი.

## ლექციები მოხსენებები

31 მარტს, საღამოს 8 ს. და 30 წ., რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პრ., № 21) შესდგება პროფ. **ათაბეგოვის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა ხმელთაშუა ზღვის კვანძი".**

ბილეთის ფასი 1 მანეთი ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროში და საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლ. პ. ბერიას რაიკომის პარტკაბინეტში.

## მხატვართა შემოქმედებითი კონფერენცია

მხატვართა კლუბში დღეს, საღამოს 8 საათზე, შესდგება საქართველოს მხატვართა შემოქმედებითი კონფერენცია, მიძღვნილი საიუბილეო გამოფენისადმი „საბჭოთა საქართველოს 20 წელი". მოხსენებას გამოფენის შესახებ გააკეთებს ამხ. ლ. ესაკია. დასწრება მისაწვევი ბარათებით.

## რადიოგადაცემა დღეს

12.00 — სიმფონიური კონცერტი საქრადიოკომიტეტის ორკესტრის შესრულებით; 12.45—ნარკვევი რუსულ ენაზე; „ერთი ქარხნის ნოვატორები"; 12.58 — დროის შემოწმება; 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვიდან); 13.15 — ი. დუნაევსკის მუსიკა; 16.50 — გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 17.00—ტრანსლაცია 26 კომისრის სახელობის პიონერთა რაიონული კლუბიდან; 18.00—კონცერტი; 18.58 — დროის შემოწმება; 19.00 — უკანასკნელი ცნობები ქართულ და რუსულ ენებზე; 19.30 — სიმღერის შესწავლა; 20.00 —უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება (მოსკოვიდან); 20.45 — საქრადიოკომიტეტის გუნდის გამოსვლა; 21.15— საუბარი ქართულ ენაზე: „სტალინური მოსავლისათვის"; 21.30—ლიტერატურული გადაცემა ქართულ ენაზე (მიკროფონთან ორდენოსანი პოეტი კარლო კალაძე); 22.00 — უკანასკნელი ცნობები მოსკოვიდან; 22.06—სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა გამოსვლა; 23.06—კონცერტი; 23.30 — საოპერეტო მუსიკის კონცერტი (არიები და დუეტები); 00.10 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება ქართულ ენაზე; 00.30 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება (მოსკოვიდან).

## სამეცნიერო სესია ფიზკულტურის საკითხებზე

1 და 2 აპრილს, თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი ატარებს პირველ სამეცნიერო სესიას, რომელზეც მოსმენილი იქნება 9 მოხსენება. ამ მოხსენებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ფიზიკური კულტურის მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტისათვის.

მოხსენებებით გამოდიან მეცნიერი მუშაკები—მედ. მეცნიერებათა კანდიდატი შ. კობწურაშვილი, ექ. ვ. ჯავახიშვილი, ბ. ანთელიძე, ვ. კუხიანიძე, მ. გორგაძე, ვ. სამსონაძე და სხვ.

სესია ჩატარდება ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზში (300 არაგველთა აღმართი, № 2). დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

## მშრომელთა დეპუტატების თბილისის მოლოტოვის სახელობის რაისაბჭოს VI სესია

2 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომის სხდომის დარბაზში (კ. ზიდაგუროვის ქ. № 2) შესდგება მშრომელთა დეპუტატების თბილისის მოლოტოვის სახელობის რაისაბჭოს VI სესია.

რაისაბჭოს დეპუტატები შედიან თავიანთი მანდატებით.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომი.

## მშრომელთა დეპუტატების თბილისის სტალინის სახელობის რაისაბჭოს VII სესია

2 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ინდუსტრიული ტექნიკუმის კლუბში (კამოს ქ. № 70) შესდგება მშრომელთა დეპუტატების თბილისის სტალინის სახელობის რაისაბჭოს VII სესია.

რაისაბჭოს დეპუტატები შედიან თავიანთი მანდატებით.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის სტალინის რაისაბჭოს აღმასკომი.

## მწერალთა კლუბში

29 მარტს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კავშირში (მახაბლის ქ. № 13) დანიშნულია მ. ლერმონტოვის პოემის „მწირის" ბაბილინას მიერ შესრულებული ქართული თარგმანის კითხვა-განხილვა.

დასწრება თავისუფალია.

## პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2843275, გაცემული ალექსანდრე ბათლომეს-ძე ჩხარტიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2861602, გაცემული გაბრიელ გიორგის-ძე ხახარულიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2856284, გაცემული დიმიტრი მიხეილის-ძე ლაპიაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1525445, გაცემული კონსტანტინე ხუხუს-ძე ჟანიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

## დღეს კინოებში

**კინოებში:** რუსთაველის სახ. — „ვალერი ჩკალოვი", ოქტომბერი — „ვალერი ჩკალოვი", დამკვრელი — „ვალერი ჩკალოვი", დლიხოთ — „მეგობრები ზანაკიდან". კომკავშირელი — „კონცერტი-ვალსი" დლიხოთ — „ახალი დროება", ხსარტაკი — „შემთხვევა პატარა სადგურზე", დლიხოთ — „მუსიკალური ისტორია", ლუქსემბურგის სახ. — „კონცერტი-ვალსი", ბერიას სახელობის კულტურის სახლი — „ქარი აღმოსავლეთიდან", 26 კომ. სახ.— „ვალერი ჩკალოვი", დლიხოთ — „მეოთხე პერისკოპი", კომინტერნი — „კონცერტი-ვალსი" გამთიადი—„სალავათ იულაევი", ნავთლუღის რკინიგზის კლუბი — „ორიოლის დაღუპვა", წითელი არმიის სახლი — „დაბრუნება", ვოროშილოვის სახელობის კლუბი — „სოროჩინის ბაზრობა", მეცნიერება და ცოდნა — „ზღვის სიღრმეში", საზღვაოს კავშირის კლუბი — „სუვოროვი".

პასუხისმგებელი რედაქტორი

**ვ. ხატიაშვილი**


**დაიბეჭდა და გამოვიდა**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ჟურნალი

**„პარტიული მშენებლობა" № 4-5**

შინაარსი:

საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენცია:

გ. მალენკოვი—პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში.

რეზოლუცია ამხ. მალენკოვის მოხსენების გამო „პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში".

ნ. ვოზნესენსკი—1940 წლის სამეურნეო შედეგები და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1941 წლის გეგმა.

ამხ. კ. ჩარკვიანის სიტყვა.

რეზოლუცია ამხ. ვოზნესენსკის მოხსენების გამო „1940 წლის სამეურნეო შედეგები და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1941 წლის გეგმა".

რეზოლუცია დღის წესრიგის მე-3 პუნქტის გამო (ორგანიზაციული საკითხები) „საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური ორგანოების განახლების შესახებ".

**საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 20 წელი.**

მეთაური—დიადი დღესასწაული.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მისალმება.

ამხანაგ ი. ბ. სტალინს საქ. სსრ უმაღლეს საბჭოს საიუბილეო მეოთხე სესიის მისალმება.

კ. ჩარკვიანი—ქართველი ხალხის დღესასწაული.

ვ. ბაქრაძე—ლენინ-სტალინის დროშით ბრძოლისა და გამარჯვების 20 წელი.

**სსრკ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII სესია.**

კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

კანონი კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შესახებ.

---

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

29 მარტს მე-2 აბ. მე-12 წარმ. **აიდა**

30 მარტს მე-3 აბ. მე-12 წარმ. **ქეთო და კოტე**

1 აპრილს მე-7 აბ. მე-10 წარმ. **ქეთო და კოტე**

დასაწყისი საღამოს 8 ს.

---

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

27 მარტიდან

**ადგილების ფასები დაკლებულია.**

საღამოს სპექტაკლებზე დაწესებულია 12-დან 2 მანეთამდე, ხოლო დილის სპექტაკლებზე 7-დან 1 მანეთამდე.

---

**რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

1940-41 წ. წ. სეზონი

29 და 30 მარტს **უკანასკნელი რაინდი**

დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

30 მარტს დილის წარმოდგენა **ლალაჯი**

დასაწყ. დილის 12 ს.

---

**კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი**

1940-41 წ. წ. სეზონი

29 და 30 მარტს **კრემლის კურანტები**

1 აპრილს სერია 1 აბ. მე-7 წარმ. **კრემლის კურანტები**

დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

30 მარტს დილის წარმოდგენა **სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი**

დასაწყისი დილის 12 ს.

---

**მიასნიკოვის სახელობის კლუბი (პლეხანოვის პროსპ. № 38)**

შაბათს, 29 მარტს — პრემიერა

კლუბთან არსებული თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივი

ხ. ნიკიტინი **გლაშა** დრამა 4 მოქმ.

სამხატვრო ხელმძღვანელი **შ. გომელაური** (რესპ. დამსახ. არტ.)

რეჟისორი—**ბ. აბშილავა**, დასაწყისი საღ. 9 საათზე. 11302

---

სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის არქეოლოგიური სექციის სტუდენტები იუწყებიან **ეკატერინე გაჩეჩილაძის** გარდაცვალებას. 11277

ევგენი და ქეთო ოდიშარიები შვილით ზაირათი იუწყებიან მამის **ნიკო ოდიშარიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ნოსირში 30/III. 11286

ძმა გრიშა ლოლობერიძე ცოლით ლიზათი, შვილებით დარეჯანით, რუსუდანით, თინათინით იუწყება **დიმიტრი ლოლობერიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 29/III 6 ს. ენგელსის 58, ვაკის სასაფლაოზე. 11287

მეუღლე ნიკოლოზ გაბელაია იუწყება, რომ კვირას 30/III 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ნელი აკაკის-ასულ მისაბიშვილი-გაბელაიას** სამოქალაქო პანაშვიდი. 11238

სტალინის სახ. რაისაბჭოს თანამშრომლები პელიძე, სურმავა, ეფრემიძე, ჯაფარიძე, პუდოვა, კაშია, ციციშვილი ფირალიშვილი. ქავჟარაძე, სეტროსინი იუწყებიან **თამარ მშვიდობაძე-თუთბერიძის** გარდაცვალებას. 11239

საბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის ბუღალტერიის თანამშრომლები იუწყებიან **ერასტი სიმონის-ძე ქაცარავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/III ქუთაისში. 11298

მშობლები ალათი. გრიგოლ, მეუღლე ეფროსინე, ძმები მიშა, ვალერიან, ვახტანგ. და ნინო იუწყებიან **ალექსანდრე ქაჯაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1 აპრილს ნაგიბერუში (გეგეჭკორის რ.). 11283

დები ფევადოსი, იულია, ბაბო, ძმა გიორგი, რძალი ქეთო ნიორაძეები, სიძეები მ. ვეფხაძე, დ. ლექვინაძე, ი. კოსტავა შვილებით იუწყებიან **ეკატერინე ნიორაძე-გაჩეჩილაძის** გარდაცვალებას გამოსვენება 29/III 6 ს. მცირე ტრიბუნალის, 3. 11293

ძმა გრიშა, დები ნინო, ნადია კორშიები, სიძე გოგი, დისწულები ლილი, ეორა ჩხაიძეები იუწყებიან **ნასტია კორშია-მიქაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 29/III მაედანში. 11285

ცოლი ლიზა, შვილი თამარ, სიძე შალიკო, შვილიშვილები ციალა, ლიანა ჯაფარიძეები იუწყებიან **ვასილ სიმონის-ძე ჯაფარიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29/III 8 ს. გამოსვენება 30/III 5 ს. პირველი მაისის, 19. 11291

ცოლი ეკატერინე, შვილი სიმონ ქაცარავა ცოლშვილით, შალვა და ვანო ივალიანები ცოლშვილით იუწყებიან **ერისტო სიმონის-ძე ქაცარავას** გარდაცვალებას, დაკრძალვა 30/III ქუთაისში. 11295

მეუღლე პაშა, შვილები ლილი, კოკი, ოთარ ქუთათელაძეები, სიძე ეორა სანაძე შვილით ლიანათი იუწყებიან, რომ 30/III წულუკიძეში დანიშნულია **ვლადიმერ სპირიდონის-ძე ქუთათელაძის** პანაშვიდი. 11280

მშობლები ტერეზი, პროკოფი, ძმა ხუტუა, მამიდა ქსენია, ბიძები ბორის, ვანიჩკა, ალექსანდრე, ჟორა, ზურაბ, საშა. ვახტანგ ცოლშვილით იუწყებიან **ემირიკო ბერიძის** გარდაცვალებას. 11281

დედა კატო, მეუღლე თამარ, შვილები რეზო, ლეილა, ძმები დათიკო, ვალერი. რძალი ემმა შვილებით იუწყებიან, რომ 30/III 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **გიორგი (გოგა) ხომასურიძის** სამოქალაქო პანაშვიდი. 11282

დედა ანა, ძმები კობალაძეები, დები ანეტა სილვესტროვა, თამარ ურუშაძე, ბიძაშვილები შალიბაშვილი. ბურდულაძე იუწყებიან, რომ 30/III 2 ს. კუკიის სასაფლაოზე შესდგება **მარიამ იოსების-ასულ ბრიტანჩუკის** სამოქალაქო პანაშვიდი. 11284

ქმარი იაშა დედით ფროლენციათი, მაზლი სტეფანე, რძლები დარიკო, თამარ იუწყებიან **მერი ალექსანდრეს-ასულ მუმლაძე-ოკონოვის** გარდაცვალებას. გამოსვენება 29/III 6 ს. ტატიანის, 10. 11296

ნუცა იოსელიანი, სონია ლეო, თინა ჯაყელები, თამარ შალიკო თევდორაძეები იუწყებიან, რომ 30/III 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დედის და ბების **ოლინკა ნიკოლოზის-ასულ დადიანი-მხეიძის** სამოქალაქო პანაშვიდი. 11300

ცოლი ტერეზი, შვილები რაფიელ, ვანო, პეტრე, კუკური, ნანული, რძალი ქსენია, შვილიშვილები ჯილდა და გურიკო იუწყებიან **ლადიმე ფირანის-ძე ოთხმეზურის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/III დვაბზუში (მახარაძის რ.).

ცოლი პაშა, მშობლები გრიგოლ, ესმა, ძმები ალიოშა, ვენედიქტე, ბიძინა, დები ანგელინა, ნატაშა, რძლები ნინო, ნანული, სიძე შალვა იუწყებიან **ილიკო ჭელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29/III 7 ს. გამოსვენება 30/III 5 ს. საბჭოს, 317, კუკიის სასაფლაოზე. 11305

მეუღლე დუშა. შვილები ანგელინა, ლილი, ვერა, სიძე ვალიკო ცომაია, შვილიშვილი ცისანა იუწყებიან **გაიოზ გახვას-ძე კაჭარავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა აბაშაში 1/IV. 11294



რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ/მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებისა: პარტიული და პროპაგანდის—3—81—84; სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40; ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის —3—80—84; სამხედროსი—3—57—61; წერილების—3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვების—3—81—65; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

აწყობილი და მატრიცირებულია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტში", თბილისი, ლენინის ქ. № 28; დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკაში", რუსთაველის პროსპექტი № 36. უე 6046